

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N011/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა

დასაშვებია თუ არა ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის თანაშემწე, სტაჟიორისათვის გადაბარება და რა ფორმით განაწილდება მათ შორის პროფესიული პასუხისმგებლობა?

ანალიზი

ადვოკატი ვალდებულია უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა. კონფიდენციალურ ინფორმაციად ჩაითვლება კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია იმისგან დამოუკიდებლად თუ რა წყაროდან იქნა მიღებული (აპეკ-ის) 4.1 მუხლი). ადვოკატი, გონივრულობის ფარგლებში, პასუხისმგებელია იმ პირთა ქმედებაზე, რომლებიც მოქმედებენ მისი დავალებით ან მისი სახელით (აპეკ-ის 11.2 მუხლი).

საადვოკატო საქმიანობის დაწყებისას კლიენტს გააჩნია მოლოდინი, რომ უშაულოდ ადვოკატი აწარმოებს მის საქმეს და დაიცავს საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას. თუმცა, გარკვეული გარემოებების არსებობისას ადვოკატმა შესაძლოა საქმის წარმართვაში ჩართოს მისი თანაშემწე ან სტაჟიორი. საქმეში სხვა პირის ჩართვამდე ადვოკატი ვალდებულია კლიენტს ინფორმაცია მიაწოდოს აღნიშნულზე და მისგან ნებართვა მიიღოს. ასეთ შემთხვევებში, ადვოკატის პასუხისმგებლობა ვრცელდება მისი დავალებით მოქმედი პირის ქცევაზე. სტაჟიორის, თანაშემწის ქცევა ფასდება, როგორც ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის წარმართვა. პროფესიული პასუხისმგებლობის სხვა პირზე განაწილების საკითხი კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა იქნას შეფასებული საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინებით.

დასკვნა

მხოლოდ კლიენტისაგან მიღებული ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია ადვოკატმა სხვა მესამე პირს მისცეს შესაძლებლობა კლიენტის საქმეზე შეასრულოს გარკვეული იურიდიული მოქმედებები. აღნიშნულ დროს, ადვოკატი პასუხისმგებელია მისი დავალებით მოქმედი პირის ეთიკურ ქცევაზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5edba843ec708.pdf/zipiri%20011.20.%2024.03.20.pdf>